



პენოპლასტის სენდიჩპანელი

უსაფრთხო მოხმარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ინსტრუქციები

1. პროდუქტისა და კომპანიის იდენტიფიკაცია

- 1.1 პროდუქტის დასახელება: პენოპლასტი
- 1.2 პროდუქტის დანიშნულება: თბოიზოლაცია, ხმის იზოლაცია
- 1.3 პროდუქტის ვიზუალი: თეთრი ფერის. იწარმოება პენოპლასტის შემავსებლით
- 1.4 კომპანიის მისამართი: საქართველო, რუსთავის, მშვიდობის ქუჩა 80
- 1.5 საკონტაქტო ინფორმაცია: Tel: +995 032 2 209 900

- 2. საფრთხეები: ბოჭკოების მექანიკურმა ზემოქმედებამ კანთან შეხებისას შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქცია და ღრობითი ქავილი. ხანძრის დროს შეიძლება წარმოიქმნას მწვავე კვამლი.

3. პირველადი დახმარების ზომები

3.1 ინფორმაცია ზემოქმედების/ექსპოზიციის სხვადასხვა გზების შესახებ

ინჰალაცია: აღმოფხვრით ზემოქმედების შედეგები. ამოირეცხეთ ყელი და სასუნთქი გზები, მტვრის მოსაშორებლად.

კანთან კონტაქტი: თუ დაგეწყით ქავილი, გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი და ფრთხილად ჩამოიბანეთ კანი ცივი წყლითა და საპნით.

თვალთან კონტაქტი: ამოირეცხეთ წყლის დიდი რაოდენობით სულ მცირე 15 წუთის განმავლობაში.

ყლაპვა: შემთხვევითი ყლაპვისას მიიღეთ დიდი რაოდენობით წყალი ზემოთ აღნიშნული ნებისმიერი ზემოქმედების შედეგად გვერდითი რეაქციის ან განგრძობითი უსიამოვნო შეგრძნების გახანგრძლივების შემთხვევაში, მიმართეთ ექიმს სამედიცინო კონსულტაციისათვის.

3.2 შემკვრელის აირები

თუ თვალის ან სასუნთქი გზების გაღიზიანება მოხდა, დატოვეთ დაბინძურების არეალი და გადით სუფთა ჰაერზე. გაღიზიანების გაგრძელების შემთხვევაში კონსულტაცია გაიარეთ ექიმთან.

4. სახანძრო უსაფრთხოების ზომები

პროდუქტი არ არის აალებადი და არ ქმნის ხანძრის გაჩენის საფრთხეს. მაღალ ტემპერატურაზე შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მოსაპირკეთებელი ან შესაფუთი მასალის წვას.

4.1 შესაფერისი ქრობის საშუალებები: წყალი, ქაფი, კარბონის დიოქსიდი/ნახშირორჟანგი ან მშრალი ქვიშა

4.2 ცეცხლქრობისთვის არა რეკომენდირებული საშუალებები: არცერთი

4.3 წვადი ნივთიერებები: კარბონის დიოქსიდი, კარბონის მონოქსიდი და თანმხლები აირები

4.4 ხანძართან ბრძოლის პერსონალური დამცავი აღჭურვილობა: დაიცავით



პენოპლასტის სენდიჩპანელი

უსაფრთხო მოხმარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ინსტრუქციები

ხანძარქრობის სტანდარტული პროცედურები

5. უსაფრთხოების ზომები შემთხვევითი გავრცელებისას

- 5.1 **პირადი სიფრთხილის ზომები:** მტვრის მაღალი კონცენტრაციის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენეთ იგივე დამცავი მოწყობილობა, რომელიც აღწერილია მე-8 პარაგრაფში.
- 5.2 **გარემოს დაცვისთვის საფრთხეები:** არა აქტუალური
- 5.3 **წმენდის მეთოდები:** წმენდა მოახდინეთ მტვერსასრუტით ან წმენდამდე დაასველეთ დაბინძურებული არეალი წყლით.

6. გადატანა და შენახვა

- 6.1 **გადატანა:** პროდუქტი ჩამოტვირთეთ გამოყენების ადგილას, რათა თავიდან აიცილოთ პროდუქტის დამატებით არასაჭირო გადატანა. შეინარჩუნეთ სისუფთავე სამუშაო არეალებზე. მოათავსეთ ნარჩენები და ნაგავი შესაფერის კონტეინერებში. გაწმენდის წინ შეასხურეთ წყალი ან გამოიყენეთ მტვერსასრუტი.
- 6.2 **შენახვა:** შეინარჩუნეთ მასალა ორიგინალი შეფუთვით, რომლითაც მოხდება გამოყენება. დასაწყობებისას დაიცავით დაზიანებისაგან, მათ შორის ატმოსფერული ზეგავლენისგან

7. რესპირატორული დაცვა

პირველადი გახურება: როდესაც საიზოლაციო პენოპლასტი თბება დაახლოებით 200°C-მდე პირველად, ხდება შემკვრელის კომპონენტების და შემკვრელის დაშლის პროდუქტების გამოყოფა. აირების/კვამლის ამოცნობა შესაძლებელია მათი მძაფრი სუნით და ამ აირების მაღალმა კონცენტრაციამ შეიძლება გამოიწვიოს თავისა და სასუნთქი სისტემის გაღიზიანება. აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს ზოგადი განზავების ვენტილაცია და/ან ადგილობრივი გამონაბოლქვის ვენტილაციის სისტემა ორთქლის ზემოქმედების გასაკონტროლებლად, როდესაც მაღალი ტემპერატურის მოწყობილობები პირველად ამოქმედდება.

- 7.1 **ხელების დაცვა:** კომფორტისთვის რეკომენდებულია ხელთათმანების გამოყენება.
- 7.2 **თვალების დაცვა:** ძლიერი მტვრის წარმოქმნის ან თავის სიმადლეზე მაღლა მუშაობისას, რეკომენდირებულია დამცავი უსაფრთხოების სათვალის გამოყენება..
- 7.3 **კანის დაცვა:** განსაკუთრებული მოთხოვნები არ არის: რეკომენდებულია გამოიყენოთ თავისუფლად მორგებული, გრძელსახელოებიანი სამუშაო ტანსაცმელი. სამუშაოს დასრულებისას გამოიყვალეთ ტანსაცმელი და გარეცხეთ.

8. ფიზიკური და ქიმიური თვისებები

- 8.1 **ვიზუალი:** მყარი, თეთრი ან სხვა ფერი
- 8.2 **სუნი:** სუნი N/A
- 8.3 **მჟავიანობა Ph (at 1000g/H₂O, 25°C):** ნეიტრალური ან ნაკლებ ტუტოვანი (Ph7-9)



პენოპლასტის სენდიჩპანელი

უსაფრთხო მოხმარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ინსტრუქციები

- 8.4 დუღილის ტემპერატურა: N/A
- 8.5 დნობის ტემპერატურა: 1000°C-ზე ზემოთ. გამოყენებისთვის მოქმედი ტემპერატურული ლიმიტი დამოკიდებულია კონკრეტული პროდუქტის ტიპზე და ჩასატარებელ სამუშაოზე და უნდა იყოს შესაბამისი ტექნიკური მონაცემების ფურცლის მოთხოვნების გათვალისწინებით შერჩეული.
- 8.6 აალების წერტილი: N/A
- 8.7 აალებალობა: N/A
- 8.8 თვით-აალებალობა: A1 არა აალებალი
- 8.9 ფეთქებადი თვისებები: N/A
- 8.10 ჟანგვის თვისებები: N/A
- 8.11 ორთქლის წნევა: N/A
- 8.12 ბოჭკოვანი სიმკვრივე: N/A
- 8.13 ხსნადობა: მეტწილად ქიმიურად ინერტული და წყალში არა ხსნადი

9. მდგრადობა და რეაქტიულობა

- 9.1 მდგრადობა: მდგრადი
- 9.2 რეაქტიულობა: არა რეაქტიული
- 9.3 თერმულად მლადი პროდუქტები: საიზოლაციო ბამბის პირველი გაცხელებისას დაახლოებით 200°C ტემპერატურაზე, ხდება შემკვრელის კომპონენტებისა და დაშლის აირების გამოყოფა შემკვრელისგან. დაშლა იწყება დაახლოებით 200°C-ზე და გავრცელების ხანგრძლივობა დამოკიდებულია იზოლაციის სისქეზე, შემკვრელის შემცველობაზე და გამოყენებული ტემპერატურა(ებ)ზე.

10. ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

- 10.1 მწვავე ეფექტი: კანთან კონტაქტისას ბოჭკოების მექანიკურმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს დროებითი ქავილი.

11. ეკოლოგიური ინფორმაცია: სტაბილური პროდუქტი გარემოზე მავნე ზემოქმედების გარეშე.

12. მოსაზრებები უტილიაზციისათვის: განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები არ არსებობს

- 12.1 სახიფათო ნარჩენების რეგულაციები: ჩვენი იზოლაცია კლასიფიცირდება როგორც არასახიფათო ნარჩენი. მოახდინეთ ადგილობრივი რეგულაციების მიხედვით.
- 12.2 ნაგავსაყრელის რეგულაციები: ტუნგკინის საიზოლაციო ნარჩენები კლასიფიცირდება, როგორც "ნარჩენები, რომლებიც მიიღება ნაგავსაყრელებზე არასახიფათო ნარჩენებისთვის".

13. სატრანსპორტო ინფორმაცია:



პენოპლასტის სენდიჩპანელი **უსაფრთხო მოხმარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ინსტრუქციები**

13.1 არ რეგულირდება ტრანსპორტირების რომელიმე რეჟიმით. განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები არ არის.